



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალური ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 35

ა ბ ვ ი ს ტ რ 27 1900

№ 35

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნილი 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

**ხელის-მოწერა ქაიდებ:** თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „ქვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „Квали“.

**შინაარსი:** ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ფ. მახარაძისა.—ახლო კანონი ხიზანთა შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—უცხოეთი.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—ომის ამბები.—წერილი ბახმაროდან შავგვრემანისა.—წერილი მს. მალეთიდან იასე რაჭველისა.—ანლათ დაბადებული (თარგმანი) კახელი ქალისა.—წერილი რედაქციის მიმართ.—საქველ-მოქმედო საქმე და განცხადებები.

ქუჩისა და „კვალი“ № VII და VIII დაურიგდა ხელის-მოწერა

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა  
(1896—1900)


III

როცა ჩვენ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის გაცნობას შევუდექით, სრულიად მხედველობაში არ გვქონებია, რომ ოდესმე პრესის საშუალებით გამოვქვეყნებდით რასმეს ამ საგნის შესახებ. მაგრამ საქმის გაცნობამ იძულებული გაგვხადა ასეთი მცირე შეხედულება შეგვეცვალა. მართალია, ოზურგეთი, როგორც ქალაქი, თავის სიმდიდრით თუ ადებ-მიცემობით, თავს ვერ მოგვაწონებს, იგი ამ მხრით *quantité négligible*-ს წარმოადგენს. მაგრამ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია განაგოს განსაზღვრული რიგი საზოგადოებრივ მოქმედებათა, და როგორც ასეთი პასუხის მგებელია, როგორც სა-

ზოგადოების, ისე მთავრობას წინაშეც. თვითმართველობის დედა აზრი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტათ ფართო და ღრმა მნიშვნელოვანია. ამიტომ საზოგადოებისთვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყველა ასეთი დაწესებულების მოქმედება მკაცრ კრიტიკის დარჯაჟში იქნას გატარებული და აწონ-დაწონილი. ამ თვალთა ხედვის წერტილიდან ვუცქერით ჩვენ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობასაც. და აი რათ მიგვაჩნია ჩვენ საზოგადოების ყურადღების ღირსათ მაზე მსჯელობა. ამ პატარა წინასიტყვაობის შემდეგ გავიდეთ საგანზე.

წინა წერილებიდან ჩვენმა მკითხველმა ის უტყუარი და პირდაპირი დასკვნა უნდა გამოიყვანოს, რომ ოზურგეთის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ზრდა ამ უკანასკნელი სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში სრულიად ანორმალური მოვლენაა: ფ. ი. ეს ზრდა სრულყოფილად არ ყოფილა შედეგი ქალაქის ადებ-მიცემობის ბუნებრივ ზრდა-მატებისა. ამ გარემოების





პირდაპირი შედეგი კი ის იყო, რომ ქალაქის ხარჯთ-  
 აღრიცხვაში შემოსავალი და გასავალი უმეტეს ნაწი-  
 ლათ მხოლოდ ქალაქის იწერებოდა, ნამდვილათ  
 კი ბევრათ იმაზე ნაკლები შემოდებოდა და იხარჯე-  
 ბოდა, რაც ხარჯთ-აღრიცხვაში იყო აღნიშნული.  
 ამ ნაირათ, რადგანაც შემოსავალი და გასავალი  
 ერთიერთმანეთზე არის დამოკიდებული, გასავალი,  
 ე. ი. ქალაქის ხარჯები, შემცირდა შემოსავლის  
 შემცირების კვალობაზე. რა გვარ ხარჯებს ეწვია  
 ასეთი ბედი? ამის შესახებ 28 ივნისის 1899 წლის  
 საბჭოს სხდომის ოქმში აი რას ვკითხულობთ:  
 „Разсмотрѣвъ вопросъ относительно невыполненія  
 многихъ постановленій собранія, направленныхъ къ  
 благоустройству города, вслѣдствіе непоступленія  
 въ предыдущіе годы, ассигнуемыхъ въ смѣтѣхъ  
 суммъ, постановили: испросить разрѣшеніе на  
 позаимствование запаснаго капитала“ (კურსივი ყვე-  
 ლგან ჩვენია). მაშასადამე დაუკმაყოფილებელი  
 დარჩენილა ის ხარჯები, რომლებიც დანიშნული  
 იყო ქალაქის პირობების გასაუმჯობესებლათ. ამ  
 ოქმიდან ჩვენ ვტყობილობთ კიდევ, რომ საქმე  
 იმდენათ ვაჭირვებულა, რომ წინა წლებში მონა-  
 გარი თანხის<sup>1)</sup> გარდა ქალაქს სხვა არა დარჩენია-  
 რა. შუამდგომლობა ამ თანხის მოშველებაზე ქა-  
 ლაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ განმეო-  
 რებული იქმნა შემდეგ სხდომაზედაც, რომელზე-  
 დაც კრებას მოხსენდა ანგარიში ხარჯთ-აღრიცხვის  
 სისრულეში მოყვანის შესახებ და რომელზედაც  
 დადგენილ იქმნა: ნებართვა ავიღოთ გუბერნატო-  
 რისაგან სათადარიგო თანხის მოშველებისთვის „იმ  
 დეფიციტების დასაფარავათ, რომლებიც სისტემატიურათ  
 მეორედებან ხელმე“ (для покрытія систематически  
 повторяющихся дефицитов. სხდომა 6 სექტ. 1899 წ.)


ამ ნაირათ, აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ ოზურ-  
 გეთის თვითმართველობა მეტათ გასაჭირ მდგომარე-  
 ილებაში ჩავარდნილა: ქალაქის შემოსავალი სრულ-  
 ლეებით ვეღარ აუღის ქალაქის ხარჯებს; დაუკმაყო-  
 ფილებელი რჩებიან უმეტეს ნაწილათ ის საჭიროე-  
 ბანი, რომელნიც ქალაქის პირობების გაუმჯობე-  
 სობას შეეხებიან. ახლა ჩვენ ვკითხოთ: ქალაქის  
 ამ არა სანატრელ და უნუგეშო მდგომარეობაზე  
 მიქცეული იქმნა თუ არა ყურადღება ვისგანაც  
 ჯერ იყო და თუ მიქცეულ იქნა, რა ღონისძიება  
 იყო ხმარებული ამ მდგომარეობისაგან თავის და-  
 საღწევათ? თვითმართველობის საქმეებში ამის შე-  
 სახებ სრული მდუმარებაა; მხოლოდ ერთ ადგი-  
 ლას წავატყდით ჩვენ მთავრობის მიერ ნაჩვენებ  
 ზომებზე გასული წლის ბოლო რიცხვებში. მთავრო-

ბა ურჩევს ოზურგეთის თვითმართველობის დღე-  
 ციტი შესამცირებლათ ერთი მხრით გაღიდებული  
 იქნას შემოსავლის სტატები და მეორე მხრით  
 ხარჯებიც შემცირდენ, ასე რომ ქალაქი ნულარ  
 აძლევს 200 მან. ოზურგეთის საქალბო სასწავლე-  
 ბელს და ნულარც 150 მან. იხდის ქალაქის უკანონო  
 შობილ ბავშვების გასაზრდელათო, რასაც ქალაქი  
 ყოველთვის იხდიდა (რასაკვირველია ხან მეტს, ხან  
 ნაკლებს). მაშასადამე საქმე იქამდის მივიდა, რომ  
 იმ ორიოდ გროშის გამოღებაც კი, რომელსაც  
 ოზურგეთის თვითმართველობა სახალხო განათლე-  
 ბისთვის ხარჯავდა, დღეს მას აღარ შეუძლია. აქა-  
 მდის ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მო-  
 ნაწილეობა სწავლა-განათლებაში ამ 200 მან. გა-  
 მოიხატებოდა, ამას შემდეგ კი ამის შეძლება აღარ  
 აქვს. მაშასადამე რაღა თვითმართველობა უნდა იყოს  
 ისეთი თვითმართველობა, რომელიც სახალხო გა-  
 ნათლებისთვის 200 — 300 მანეთის დახარჯვას ვერ  
 შეძლებს? ან რაღა უნდა იყოს ისეთი ქალაქის  
 თვითმართველობა, რომელსაც თავის უკანონოთ  
 დაბადებულ ბავშვების გამოკვება აღარ შეეძლება?  
 აი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა ოზურგეთის თვით-  
 მართველობა. რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში  
 ქალაქის საბჭო, ე. ი. ერთათ-ერთი მისი ორგანო  
 ბ-ნი თავდგირიძე? იხმარა თუ არა მან შესაფერი  
 ღონისძიება? ან შეუფარდა თუ არა თავის მოქმე-  
 დება ქალაქის კასის მდგომარეობას? სრულებითაც  
 არა: პირიქით, ბ-ნი თავდგირიძე ისეთ რამებს გა-  
 მოეკიდა, რომ იმათი სისრულეში მოყვანა არა თუ  
 პატარა ოზურგეთისთვის, უფრო დიდი და შეძლე-  
 ბული ქალაქისთვისაც კი მეტათსამძიმო იქნებოდა,  
 თორემ ოზურგეთისთვის ყოველად შეუძლებელი.  
 მაგრამ ამას ვინ უყურებდა? ეს ყოველივე საქმის-  
 თვის იყო საჭირო და ბ-ნი თავდგირიძე ხომ საქ-  
 მისთვის არ მოვლინებია ოზურგეთს! მისი საწადე-  
 ლი მხოლოდ ის იყო, რომ სალაყო საგანი არ  
 გამოლენოდათ ოზურგეთელებს და მოგეცათ სიცო-  
 ცხლე ეს წადილი მას საუცხოვოთ შეუსრულდა.

მოგვხსენებათ, რომ ოზურგეთელებს, როგორც  
 საზოგადოთ გუბურებს, გადამეტებით უყვართ ორი  
 რამ: წასვლა-მოსვლა და სწავლა-განათლება. ოღონდ  
 ეს ორი მოთხოვნილება დაუკმაყოფილეთ და ისინი  
 ყოველივეს დათმობენ. ბ-ნმა თავდგირიძემაც, თითქო  
 იმათ აღლო აართვა: ქალაქის მამასახლისათ და-  
 დგომისთანავე მან ოზურგეთელების გული მოიგო  
 მით, რომ ორივე ამ უმთავრესი მოთხოვნილების  
 დაკმაყოფილება აღუთქვა. ერთი მხრით ის და-  
 პირდა ოზურგეთს საღ ნატანებს შუა რკინის ვზის  
 გაყვანას და მეორე მხრით სავაჟო პროგიმნაზიის  
 დაარსებას ოზურგეთში. ორივე ეს დაპირება ელვა-

1) ეს არის სათადარიგო თანხა, სულ 1770 მანეთი,  
 რომელიც პოლიციამ გადასცა თვითმართველობას.






სავით მოედვა მთელ გურიას: რამდენიმე თვის განმავლობაში ოზურგეთის რკინის გზა და პროგიმნაზია ყველას ენაზე ეკერა არავის ეჭვი არ შეჰქონდა იმათ დაუყოვნებლივ განხორციელებაში, მხოლოდ იმას ითვლიდნენ, თუ რომელ თვეში (წელიწადის გასვლას ვილა ელოდებოდა!), ან რომელ დღეს გაიხსნება მიმოსვლა ოზურგეთის რკინის გზაზე და ან როდის დაიწყება სწავლა ოზურგეთის პროგიმნაზიაშიო. მაშინ სიცილით არ ეყოფოდათ, რომ ვისმეს ამაში ეჭვი შეეტანა, ან არა და ასეთ კაცს ქვეყნის მოღალატეთ დასახავდნენ: დახეთ ამ ურცხვს, რკინის გზის და პროგიმნაზიის წინააღმდეგიაო! საბრალო ოზურგეთელები! სწორეთ სიბრალულის ღირსნი არიან ისინი, რომ ასე ჩქარა გაუცრუვდნენ იმელები! დღეს ისინი ძალაუფლებურათ უნდა შეურიდნენ იმ აზრს, რომ ჯერ კიდევ კაი ხანი გაივლის სანამ ოზურგეთში რკინის გზა შემოვა, ან პროგიმნაზია დაარსდება. თავისთავათ იგულისხმება, რომ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, ვითომც ოზურგეთი არ საქირივდეს, როგორც ერთში, ისე მეორეში.

მაგრამ მართალი უნდა ვთქვათ: თუ დღემდე თითქმის ყველა საქმე ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის მიერ დაწყებული ასე უკუღმართათ და არა სასურველათ ბოლოვდებოდა, ამაში დამნაშავეა არა მარტო ბ-ნი თავდგირიძე, არამედ ქალაქის საბჭო და რამდენიმე ადგილობრივი საზოგადოებაც, ის საზოგადოება, რომელიც ბ-ნ თავდგირიძის ყოველსავე წინადადებას თუ მოხსენებას მხოლოდ ტაშის ცემით ეგებებოდა. ავიღოთ, მაგ., პროგიმნაზიის საქმე, რომელიც სხვა მხრითაც საინტერესოა. 1897 წ. 10 თებერვლის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ბ-ნ თავდგირიძეს წინადადება შეაქვს: ვთხოვოთ მთავრობას, რომ ოზურგეთში დაარსებულ იქმნას ერთი რომელიმე საშუალო სასწავლებელიო.

ეს წინადადება ჩვეულებრივ მიღებული იქმნა ერთ ხმათ: ვინ იკითხა, თუ პროგიმნაზიის გახსნა ხარჯს მოითხოვდა ქალაქის მხრით და მაშასადამე აღარც ის უკითხავს ვისმეს, თუ საიდან, რომელ წყაროდან დაიფარებოდა ეს ახალი ხარჯი. შემდეგ, როცა მთავრობა შეეკითხა ქალაქს, რომ თუ ვინიკობაა პროგიმნაზია გაიხსნა ოზურგეთში, ქალაქი რამდენს შეეწევა მთავრობას და ამასთანავე დაასახალოთ, რომელი წყაროდან ფიქრობს ქალაქი პროგიმნაზიის მიერ გამოწვეულ ხარჯის დაფარვასო, ოზურგეთელებმა მხოლოდ მაშინ გაანძრის თავი. ბ-ნ თავდგირიძის წინადადებით ოზურგეთის ქალაქის საბჭომ დაადგ ნა, რომ ქალაქი ყოველ წლივ გადაიხდის პროგიმნაზიის შესანახათ 2000 მანეთს

და ამას გარდა მიუზომავს შენობისათვის საჭირო მიწას ქალაქის მამულიდან (დად. 3 ნოემბერს 1897 . შემდეგ ქალაქი მთავრობას შეჰპირდა კიდევ, რომ სანამ პროგიმნაზიისათვის საკუთარ შენობას იქონივდეს, ქალაქი კისრულობს თავის ხარჯით იქირაოს მისთვის საჭირო შენობა (დად. 1 დეკ. 1897 წ.). ამ ხარჯების დასაფარავათ ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა გადიდდეს უმაღლესს ხარისხამდე (до высшего разряда, доп. гор. пол.) გადასახადი უძრავ მამულებზე და მაგარ სასმელების მოწმობებზე (დად. 11 მარტს 1897 წ.). ახლა ვიკითხოთ: შეეძლო თუ არა ოზურგეთს, რომ პროგიმნაზია მართლა დაარსებულყო, თავის დაპირებათა შესრულება? ბ-ნ თავდგირიძეს რომ ვკითხოთ, შეეძლოვო, გვეტყვის. აი რას ამბობს ის, სხვათა შორის ერთ თავის მოხსენებაში მთავრობის მიმართ: „მიუხედავათ იმისა, რომ ოზურგეთი ღარიბია, მისი ნათესაური მდგომარეობა იმდენათ კეთილ საიმედოა, რომ სულ ადვილათ, სრულიად გაუჭირვებლათ შეუძლია წააუყრათ 2 ან 3 ათასი მანეთის ხარჯი გასწავლას“. (შუამდგ. საოლ. მზრუნველის წინაშე, 31 ოქტ. 1898 წ.). ნუ დაივიწყებთ, რომ ამას ლაპარაკობს ის პირი, რომელიც, როგორც ქალაქის საბჭოს სხდომაზე, ისე მოხსენებებში მთავრობის მიმართ, მუდამ იმაზე ლაპარაკობდა რომ ქალაქს არავითარი საშუალება არა აქვს და მის ბიუჯეტში არა თუ 2 და 3 ათასი მანეთი, არამედ 100 მანეთიც დიდი ფულიაო. მაგრამ კიდევ რომ შეძლებოდა ოზურგეთს ამ ხარჯების გაწევა, ეს მაინც არ კმარა ქალაქის მხრით. ამიტომ ბ-ნ თავდგირიძისავე წინადადებით (11 მარტს 1897 წ.) ოზურგეთში მცხოვრებ ხელოსნებმა პირობა დადვეს, რომ თუ ვინიკობაა პროგიმნაზია გაიხსნა ოზურგეთში, 2—3 მანეთს გადავიხდით წლიურათო. გურიის თავად-აზნაურობაც დაჰპირდა ქალაქს 2000 მან. წლიურათ. მაგრამ არც ერთ ამ დაპირებას არ ჰქონდა არავითარი საფუძველი და ამიტომ მთავრობამაც არ იცნა ისინი ყურადღების ღირსათ. საინტერესოა ის, რომ სადაც კი მიმართა ბ-ნმა თავდგირიძემ ამ საგანზე თხოვნით, ყოველ მხრიდან უარი მიიღო. მთავარმართებლის კანცელარიამ პირველათ უარი გამოუცხადა პროგიმნაზიის გახსნის შესახებ 7 მაისს 1898 წ. მაგრამ მაშინვე მეორე შუამდგომლობა გაგზავნა მთავარმართებელთან და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან იმ დამატებით, რომ თუ პროგიმნაზიის გახსნაზე ხელ-ახლა უარი გვეთქმება, იმ შემთხვევაში ოზურგეთში არსებული სამოქალაქო სასწავლებელი გადაკეთდეს პროგიმნაზიათო. ბოლოს ეს საქმეც სენატამდის მივიდა და ისე დაბოლოვ-





და, როგორც მოსალოდნელი იყო, ე. ი. სრულიად უყურადღებოთ დარჩა დატოვებული.

სანამ ამ წერილს გავათავებდეთ ორიოდ სიტყვა ვთქვათ იმაზე, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობდა ბ.ნი თავდგირიძე, როცა პროგიმნაზიის გახსნას თხოულობდა ოზურგეთში და საზოგადოთ რა შეხედულება აქვს მას ამ სასწავლებელზე. ერთ თავის მოხსენებაში მთავრობის მიმართ (31 ივლისიდან 1897 წ.) ის ამბობს: „თავისი ხასიათით სამოქალაქო სასწავლებლები ვერ აკმაყოფილებენ მცხოვრებთა მოთხოვნებს ბავშვების აღზრდის შესახებ. ისეთ პატარა ქალაქებისთვის, როგორც ოზურგეთია, სამოქალაქო სასწავლებელი შეუფერებელია. ასეთ პატარა ქალაქებში სასწავლებლები სოფლის წვრილ მესაკუთრეთა (ალბათ წვრილ ფეხა თავად-აზნაურობის) მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. რუსეთის სამაზრო ქალაქები შესაძლებელია უგიმნაზიოთ დარჩენ, მაგრამ ჩვენი რთული ცხოვრებისთვის საჭიროა გიმნაზია“. მაღდი და აბა ამისათნა მსჯელობის წინაშე მუხლს ნუ მოიხრი.

ფ. მაზარაძე.

(შემდეგი იქნება)

### ახალი კანონი ხიზანთა შესახებ.

ერთი გამოურკვეველი კითხვათაგანი ჩვენ ცხოვრებაში სხვათა შორის ხიზანთა კითხვაც იყო და არის. რადგან კანონით არ იყო განსაზღვრული უფლებანი ხიზანისა და მეორე მხრით მემამულისა, ამის გამო ამ ორ მხარეთა შორის დაუსრულებელი დავიდარბა იყო ატეხილი. მთავრობამ უყურადღებო მიაქცია ამ ანორმალურ მოვლენას და 1891 წ. გამოსცა დებულება, რითაც ასე თუ ისე განსაზღვრა როგორც მებატონის, ისე ხიზანთა უფლებანი.

თფილისისა და ქუთაისის მებატონენი არ იყვნენ კმაყოფილი, 1891 წ. დებულებისა ხიზანთა შესახებ და არა ერთ გზით მიმართეს მთავრობას თხოვნით, რათა მას შეეცვალა ეს დებულება. ამ დღეებში გამოიცა ახალი დებულება, რომელიც ბევრით განსხვავდება 1891 წ. გამოცემულ დებულებისაგან.

წინანდელ დებულების 1 მუხლის ძალით ხიზანთ ითვლებოდა ყველა მიწათ-მომქმედი გლეხი, რომელიც კი მებატონის ადგილს შეიმუშავებდა, მიუხედავად იმასა ჰქონდა მას მებატონესთან რაიმე კანონიერი ხელ-შეკრულობა თუ არა, ასე რომ ყოველ შემთხვევით მფლობელს მებატონის მიწისას უფლება ჰქონდა თავი ხიზანთ ჩაერიცხა.

ახალი დებულების ძალით ხიზანებთან ირიცხებოდა მხოლოდ ის გლეხნი მიწის-მომქმედნი, რომლებიც დასახლებულან საბატონო მამულებზე ხიზანთა ადათისამებრ, მამულის პატრონთა თანხმობით.

წინანდელი დებულების ძალით, თუ მებატონე მოისურვებდა ადგილი ჩამოერთმია ხიზანისათვის, იმ შემთხვევაში პირველი ვალდებული იყო ორჯელ მეტი ღირებულება მიეცა ხიზანისათვის ყველა იმ შენობებისა და ხეხილებისა, რაც კი რამ გაუკეთებია მებატონის მამულში ხიზანს და ის ხარჯიც, რომელიც ხიზანს გაუწევია ადგილის გასაუმჯობესებლათ. ახალი დებულების ძალით კი მებატონეს შეუძლია ჩამოართვას მიწა ხიზანს და მისცეს მას მისიგან აგებულ შენობათა და მოშენებულ ხეხილთა ნამდვილი ღირებულება და არა ორჯელ მეტი, როგორც უწინ იყო. რაც შეეხება მიწის გაუმჯობესობაზე დანახარჯის აღდგენას, ამისაგან სრულიად თავისუფალია მებატონე.

### სხვა-და-სხვა ამბები

ზაზ. „НОВ. ОДИН.“-ის სიტყვით, ამ დღეებში პეტერბურგიდან თფილისში მოელოან კომისიის 5 კაცისაგან, რომელსაც გზათა სამინისტრო გზაენის ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ საქმეთა განსახილველათ.

გასული ივლისის თვეში ბაქოში ამოუღიათ 63 მილიონი ფუთი ნავთი. ამ რიცხვში ამოუღია: მანთაშეგს და კომპ.	13.578,562 ფ.
ნობელს	9.099,476 —
ბაქოს ნავთის საზოგ.	3.499,129 —
კასპ.-შავი ზღვის საზოგ.	3.312,582 —
კასპის ამხანაგ.	3.260,350 —
რუსეთის ნავთის საზოგ.	2.988,203 —
შიბავეს	2.302,722 —
რუსეთის ნავთის ბაქოს საზოგ.	2.288,625 —
მირზოვეს	1.811,100 —
ზუბალოვს	1.446,878 —

თფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს თფილისის ქალაქის საბჭოს მიერ მოწონებული ხელშეკრულება „გელიოსის“ ფირმასთან ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ მოუწონებია და წარუდგენია კავკასიის მთავარმართებლისთვის დასამტკიცებლათ.

თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა 23 მარამობისთვის ქალაქის გამ-



ვეობას აცნობა, რომ, მისი შუამდგომლობის თანახმად, ქალაქს ნება ეძლევა ხარფუხში გახსნას პირველ დაწყებითი საქალაქო სასწავლებელი ა. ს. პუშკინის სახელობაზე.

კვირას, 27 აგვისტოს, წემეცების ბაღში ბ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ყაჩაღი არსენა“, დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

სამტრედიიდან გაზ. „НОВ. ОБ.“-ის წერენ, რომ ამას წინეთ იქ მისულან მოსკოვის სავაჭრო სახლის ა. შინის და კომპ. წარმომადგენელი აბრეშუმის ამოსარჩევი ფაბრიკის გახსნის თაობაზე. ხსენებულ ფირმას წინეთ განზრახვა ჰქონდა ასეთი ფაბრიკა ხონში გაემართა, მაგრამ ახლა სამტრედიიაში არჩევენ, სადაც კიდევაც შეუძენიათ აღგილი.

ბათუმის ახლათ გახსნილ საქალებო გიმნაზიაში სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდან. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხუთი კლასია, იმათში ერთი მოსამზადებელი (თფილ. ფურ.).

გაზ. „თფ. ფურ.“ ატყობინებენ ახალ-ქალაქიდან შემდეგს: 6 და 20 აგვისტოს საქალაქო არჩევნებზე ქალაქის წარმომადგენლებათ მომავალი ოთხი წლისთვის (1900—1904 წ წ.) არჩეულ იქნენ: ხ. კ. ხაჩატურიანი, ვ. ო. ვახრაძეანი, ა. ა. ახვანიანი, კ. მ. კარაბეტიანი, ს. პ. მარჯანიანი, ი. მ. არუთინიანი, ვ. უ. შახპარიანი, ო. კ. მეკათუმნიანი, ტ. ნ. მალაკიანი, ო. ს. მერგელიანი, ა. კ. ხაჩატურიანი და გ. ს. მუტაფიანი; კანდიდატებათ: ტ. გ. დარტინიანი, ა. გ. პაპაიანი და ა. ა. აღამაძიანი.

სენაკის მაზრის უფროს და დაბა ახალ-სენაკის მცხოვრებთ შუამდგომლობა დაუწყიათ ახალ-სენაკის ქალაქათ გადაკეთების თაობაზე. როგორც შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვიდან ჩანს, მარტო 10% შემოსავალი უძრავ მამულებიდან თურმე 10,000 მანეთამდის ავა.

როგორც გაზ. „НОВ. ОБОЗР.“ გაუგონია, მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრს განზრახვა აქვს დაბალი სამეურნეო სკოლა დაააროს რაქის მაზრაში.

იმავე გაზეთის სიტყვით იმავე სამინისტროს სურს თურმე ოზურგეთის მაზრაში ჩაის საცდელი პლანტაციები გააშენოს.

29 აგვისტოს ქალაქის საბჭოს შენობაში, თფილისის გუბერნატორის მოწერილობით, დანიშნულია თფილისის ხელოსანთა დებუტატთა საერთო კრება, რომელზედაც უნდა განხილულ იქნას სახელოსნო კასის ანგარიში 1897 წლის 18 ნოემბრიდან 1900 წლის პირველ იანვრამდის, და აგრეთვე მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავალი.


სიღნაღიდან ატყობინებენ გაზ. „ახ. — მიმ-ას: ამ დღეებში სიღნაღის ქალაქის თვით-მმართველობამ მიიღო ცნობა კავკასიის სამსწავლებლო ოლქის მზრუნველისაგან სიღნაღის საქალებო სასწავლებლის მარინეს სახელით (Маринское жен. уч.) გადაკეთების შესახებ; ამასთანავე ხაზინა ყოველ წლივ მისცემს ხსენებულ სასწავლებელს 1500 მან. იქიდანვე: მომრიგებელი მსაჯულის თანაშემწემ სამ-სამი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა სიღნაღის ყველა მეყასბეებს, რომლებმაც ამ წლის იანვრის თვეში გაფიცვა მოახდინეს ხორცის ფასის ასაწევათ.

1901 წლის 1 იანვრიდან კავკასიაში დაიწყებს მოქმედებას ახალი დებულება ბინებზე სსხეაშწიფო გადასახადების შესახებ. რუსეთში ის უკვე 1894 წლიდან არის შემოღებული. გადასახადის სამართლიანათ გასაწესრიგებლათ ქალაქები დაყოფილია ხარისხებათ. ბათუმი, თფილისი და ბაქო ეკუთვნის II ხარისხოვან ქალაქებს; დანარჩენი საგუბერნიო და საოლქო ქალაქები კავკასიისა, და აგრეთვე ის მაზრო ქალაქები, რომლებშიაც საქალაქო დებულება სრულათ არის შემოღებული, ეკუთვნიან III ხარისხოვან ქალაქებს. IV ხარისხის ქალაქები არიან კავკასიაში: ალექსანდროპოლი, ანაპა, გროზნი, დერბენდი, ეისკი, მაიკოპი, პიატიგორსკი, თემირ-ხან-შურა, შუშა და სოფ. არმავირი. V ხარისხის ქალაქები: ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ყიზლიარი, ყუბა, ლენქორანი, მოზლოკი, ნახიჩევანი, ნუხა, ოზურგეთი, სიღნაღი, თელავი, თემრუქი, შემახა.

II ხარისხოვან ქალაქებში, იმ სახლებს, რომელთა საქირავო ფასი 220—270 მ. უდრის, გადასახადი აქვს 3 მ. 50 მ. წელიწადში. 270 მ. ზევით 260 მ.—6 მ. და ასე ამგვარათ.

III ხარისხოვან ქალაქებში გადასახადი იწყება 150—180 მ. საქირავო ფასიან სახლებზე და უდრის 2 მ. 50 კ. წელიწადში 180 მ. ზევით ვიდრე 240 მ.—4 მ. და ასე ამგვარათ.





IV ხარისხიდან ქალაქებში გარდასახადი აძევს. 120 144 მ. საქირავო ფასიან სახლებს და უდრის 2 მ., 144 მ. ზევით ვიდრე 192 მ.—3 მ. და ასე ამგვარათ.

V ხარისხიდან ქალაქებში გარდასახადი იწყება 60—72 მ. საქირავო სახლებიდან და უდრის 1 ს., 72 მ ზევით ვიდრე 96 მ.—2 მ. და ასე ამგვარათ.

გუბერნატორისაგან ამორჩეული იქნება 4—6 კაცი სახლის პატრონთა შორის, რომელთაც დავალებათ ხარჯთ ამკრებ ინსპექტორს თავმჯდომარეობით ბინებზე გადასახადების გაწესრიგება.

## უცხოეთი

**ლ**ონდონის რობერტსის პროკლამაციების წინააღმდეგ. რობერტსის მიერ ხმარებულმა მტარვალურმა ზომებმა ბურების წინააღმდეგ პროტესტი გამოიწვია დ—რ ლეიდის და ორივე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკების დელეგატების მხრით, რომელიც გადაეცა ლორდ სოლისბერს.

◆ გაზ. „Times“-ის ცნობით სამხედრო სამინისტრომ გაათავა მზადება ახალ ჯარების მისაშველებლათ სამხრეთ აფრიკაში. ერთი თვის განმავლობაში გაგზავნილ იქნება სულ 3,657 აფიცერი და სალდათი და 820 ცხენი.


◆ ლეიტენანტ კორდუას სიკვდილით დასჯა. იმ მხეცურ მოქმედებათა შორის, რომლებსაც ინგლისელები ჩაიბან სამხრეთ-აფრიკაში ლეიტ. კორდუას სიკვდილით დასჯას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. კორდუა დასჯილ იქმნა სიკვდილით, როგორც მოთავე იმ შეთქმულებისა, რომელსაც ვითომ რობერტსის სიკვდილი ჰქონდა განზრახული. ახლა უკვე გამოირკვა, რომ კორდუა ავანტიურა იყო. კორდუას დასჯამ მეტათ ააღელვა ევროპელები და მეტადრე ჰოლანდიელნი, რომელთა ზიზღს ინგლისელების წინააღმდეგ საზღვარი აღარ აქვს.

◆ გერმანიაში ყველა ჯგუფთ და პოლიტიკურ პარტიებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მთავრობა ჩინეთის ამბების გამო რეისტაგს მოიწვევსო. მაგრამ ეს იმედი აღარ გამართლდა. ოფიციალურ „Nord. Alg. Zeit.“-ში გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება: „რაც შეეხება რეისტაგის მოწვევის საქირაობას, საქმის ვითარება დღეს ისეთივეა, როგორც წინეთ (ივლისში). როგორც მაშინ ისე ახლაც არავითარი მიზეზი არ არის რომ უდროოთ მოწოდებულ იქნას პარლამენტი“.

„კეალის“ კორესპონდენციები

**ს**ოფ. სიმონეთა. იშვიათათ შეხედებით გახეთქებში რომ სოფ. სიმონეთზე რამე ეწეროს. ამის მიხედვით ზირველათ რომ გავეტყავრე ქუთაისიდან, სოფ. სიმონეთი რაღაც უხეირო და უმნიშვნელო სოფელათ მქონდა წარმოდგენილი, მაგრამ გავიარეთ ოცი ვერსი და ჩვენ თავაწინ გადიშლა დიდებული სურათი. მალე მთაზე, დიდრან ნივგვის ხეებითა და სხვა-და-სხვა ხეხილით შემკულ სიმონეთში მოსახლეობს ოთხს კომლადის მცხოვრები. მთის წვერზე რომ ახვალთ და გადმოხედავთ—ასე გგონიათ მთელ ქვეყნიერებას დავტყვივარო. რადესაც ჩემს თანამოგზაურმა მითხრა, აი, აქედან იწყება სიმონეთი, მე თითქმის შეხანებოდა და ვიფიქრებდი: ხეტა მალე არ მივიდეთ ბინაზე მეთქი. მაგრამ მას შემდეგ საში ვერსი გავიარეთ და სწორეთ შუა სოფელში ვივადეთ. ოთხს კომლ მცხოვრების ეველას ფართო მოსახლეობა აქვს და ამიტომაც ამ ერთ სოფელს იმოდენი ადგილი დაუჭერია, რომ ქართლის სოფელი ათი მანინ მოთავსდებოდა შიგ. მხოლოთ ერთი რამ ვერ გავიგე: ხუთი ვერსი სიკრძე აქვს სოფელ სიმონეთს და სასოფლო სკოლა სოფლის თავში ქუთაისიდან ზირველ მისავალზე ზირველი სახლია და სოფლის ბოლოდან წამოსულმა ემაწვილმა ეოველ დღე ხუთი ვერსი უნდა გამოიაროს. ჩვენი მოგზაურობა 15 აგვისტოს იყო. ამ დღეს აქ ანასტ. კლდიაშვილისა და ად. კლდიაშვილის შეთაურებით სახალხო წარმოდგენა იყო გამართული. სწორეთ რომ სასიამოვნო სახასხავი იყო ეს სადამო, იმ სოფელში. თითქმის ხუთას სულს მოეყარა თავი და დიდი ინტერესით მოელოდენ წარმოდგენის დაწყებას. წარმოდგენის დაწყებამდის ოდესის უნივერსიტეტში ახლათ კურს დამთავრებულმა ად. კლდიაშვილმა აუხსნა ხალხს ადგილი გასაკები ენით დამიანის სისხლის საიდუმლოება და ის. თუ როგორ და რისგან ჩნდება სხვა-და-სხვა ავანტიურაობანი, რომელსაც ხალხი სულ სხვა თავლით უყურებს ე. ი. სანთელს უნთებს, ბატონებს ეძახის და ათას ხაიკათ უბოდიშებს. ეს ისეთი კარკათ იყო ახსნილი და განმარტებული, რომ მე დარწმუნებული ვარ, არც ერთი არ ეოფიდა იმ სადამოს, რომ ცოტათ მანინ არ მიმხვდარიევეს წავითხულის მნიშვნელობას. ჭეშმარიტათ საქებურია ბ. ად. კლდიაშვილის მოქმედება ამ შემთხვევაში, ნასწავლი შვილი სოფელს იმიტომ უხარია რომ რამეს გამოადგეს, თორემ ქუთაისსა და თფილისში საცხარებლათ და იქ ერთმანეთის სადანიდავით რომ უნივერსიტეტებში არ წავიდენ, ამას განა ადგილობრივ ვერ ისწავლიან. კითხვას შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენეს ავ, ცაგარდის „ხანუმა“, რომელმაც, რაც შეეეურებოდა იმას რომ ხანუმაში სულ სომხური და შუა ქართული ტიპებია და იმერლებისთვის ამის თამაში ძნელია, მე-





ტათ კარგათ ჩაიარა. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ხანუშის მითამაშებელ ელენე კლდიაშვილის ქალზე. იმის ცქრიანა სახეს, ცქვიტ მიხვრა მანერის და სასიამოვნო ხმის სწორეთ რომ აღტაცებაში მოვუყვდით. ჩვენი დრამატული საზოგადოება, იმის მაგიერ რომ თფილისის ქუჩებში ეძებდეს მითამაშებებს ანა ჯობს მიმართავდეს სოფლებში მცხოვრებ შეგნებულ ზირებს, რომ მათ ამისთანა შემთხვევას ყურადღება მიიქციათ. დარწმუნებული ვართ ელ. კლდიაშვილისას კარგი სასცენო ნიჭი აქვს და სამწუხაროა მისი თავის მიხუტება.


შემთხვევითი სტუმარი.

ხანუშის ფითამ და ადვოკატმა, სოფო თავის კლდიაშვილის ცალკეაზარაკა: ბოქაულს აქ საქმე არა აქვს, თქვენ შეგიძლიათ რაც გინდათ უფოთ, ეგ თავის კანტელარიაშია ბოქაულია...

ჩვენ ხამდვილათ შეგიტყვეოთ, რომ ბოქაულმა ამ საქმის გამო რქმი შეადგინა და ეს ამბავი აცნობა როგორც მასრის უფროსს, აგრეთვე ბრალმდებელს.

მთელი სოფელი, მომეტებულია გლეხობა, ძლიან განარებულია. იქნება ახლა მანინტ გუგუშელოს და გავთავისუფლდეთ იმ დუთის რისხვით მოვლენილ დედაკაცისაგან, რომელსაც ამ საქციელს შემდეგ მანინტ ადეკრძადება დანაგრული ხალხის დაწიოკება, აბლაკატობა.

ზიროზა



### ომის ამბები

ჩინეთის ომის ველზე ამ უკანასკნელ დღეებში საინტერესო აღარა მომხდარა-რა. ზეკინის ადებამ ევროზის სახელმწიფოთა მოკავშირე ჯარების მოქმედება შეაჩერა; მას შემდეგ დიდი შეტაკება აღარსად უფილდა, გარდა იმისა, რომ მცირე რაზმებს უხდებოდა ბრძოლა ადგილების დაზვერის დროს. მხოლოდ გაზ. „Fran. Zeit.“-ის ცნობით კან-ჩუენის მახლობლათ დიდი ბრძოლა მომხდარა ჩინელებსა და ევროზის მოკავშირე ჯარებს შორის, რომელშიაც ეს უკანასკნელნი დიდათ დაზარალებულან. მეორე მხრით ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ბრძოლის ამბები ჩინეთიდან ათასში ერთხელ თუ მოაღწევს ჩვენამდის და ისიც გადაკეთებულია. ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ ზეკინის კარშემო რკინის გზის დახანდაკება და ტელეგრაფის მავთულები დაქტეული და განადგურებულია ჩინელებისაგან, რომლებიც სრულებით არ ფიქრობენ თავიანთ ტაქტიკის შეცვლას ევროზიელთა შესასებ. ჩინეთის საიმპერატორო მთავრობა, რომელიც ევროზიელებმა არცა იცინან, თუ სად იმყოფება, ამ ჟამათ სასტიკათ ეზურობა ყველა იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც ევროზიელების მომხრეობას სწამობს. მაგ., ამით ახსენება ის, რომ ამ დღეებში სინჯუნის ვიცე-გოროლი გუენ-ჩუენი და მანკადანთა გენერალი შტახენი იმპერატორის ბრძანებით დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან. მაშასადამე საიმპერატორო მთავრობას არა თუ არა სურს დღევანდელი მოძრაობის ჩაქრობა, არამედ მის გავრძელებას ხელს-უწყობს.

ასეთ გარემოებათა გამო შეტათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ დღეს როგორც მოკავშირეთა ჯარები, ისე ევროზის სახელმწიფოთა დიპლომატია, მოკავშირე ჯარების მთავრობანი კარგათ გრძობდნენ, რომ ამ ზირობებში ომის გავრძელებას ჩინეთში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გარდა ტყუილად უბრალთ სისხლის დროისა. ამიტომ ევროზის დიპლომატია ძლიერ მოწადი-

ს. ყვარელი (კახეთი). ჩვენ კურთხეულ სოფელში ბევრი რამა ხდება საგაზეთო, მაგრამ ვინ არის დამწერი, გამომქვეყნებელი... თუნდა ვიდეც რომ დამწერს აქარები, კახელები არ წააკათხავენ, რადგანაც უფიელი უფრხალ-გაზეთი აქ სწორეთ სასთლით საძებნელია. ამ ხელათ მე უნდა ვუღალატო ჩვენებურ სინუშეს და ერთი საარაკო ამბავი გამთავადვანო, რადგანაც ეს ამბავი დამახსიათებელია იმისა, თუ უძაღლო სოფელში როგორ უკრობოთ დაბრძანდებინა ზოგიერთა ქალობატენობიც კი.

კახეთის დედა-ქალაქ თელავში ცხოვრობს ვინმე კერძო ვექილი, რომელიც იძულებულია ამ ბოლო დროს თავი მიანებოს თავის ხელობას, რადგანაც იმდენათ დაავლდა თვალში ჩინი, რომ წერა და კითხვა აღარ შეუძლია, მაგრამ ამ კერძო ვექილს ჭეოლია შეუდღე, რომელსაც თავის ნებოთ უტვირთინა ქმრის ხელობა. მოვიყვან ერთ ფაქტს: ს. ყვარელში ცხოვრობდა ერთი შეძლებული გლეხი, რომელმაც ისევ სიცოცხლეში სახლი და ერთი ზვარი ცოლს დაუმტკიცა. რასაკვირველია ამ კაცის სიკვდილს შემდეგ ეს ქონება ქვრივს დარჩა, მაგრამ ამისმა გერებმა (ზირველი ცოლისაგან დარჩენილებმა) შური შეიტანეს და მოიწადინეს დედინაცვლის სახლიდან დათხოვნა. რადგანაც ეს მძიმე საქმე გერებმა ვერ იტვირთეს, ამიტომ მიმართეს ისევ ადვოკატის მეუღლეს: ამ ქალობატენმა არც აცოვა, არც აცნდელა, მაშინვე გადაჯდა ცხენზე; ჩამოვიდა ყვარელში და იმ დროს, როცა ქვრივი შინ არ იყო, სახლიცა და ზვარ-მარანიც დაბეჭდა. ეს ამბავი მალე შეატყობინეს ქვრივს, რომელმაც თავის როგათ აუწყა ამვე სოფელში მცხოვრებ ბოქაულს. ბოქაული მაშინვე მოვიდა და ჭკითხა თელავიდან მობრძანებულ ქალობატენს, რა უფლებოთ დაბეჭდეთ ან სახლი და ან ზვარ-მარანი? თავისნებოთ გადადგოკატებულმა ქალმა ხასუხის ნაცვლათ გადაუშალა კანონთა კრებულის მეცხრე ტომი, რომელიც თან გამთყოფლებინა (როცა სოფლათ დადის ეს წიგნი უფიელთვის თან დააქვს). ბოქაულმა თხოვა წიგნი შეინახა და კითხვაზე ეხასუხა — ვინა ბრძანდება და რა უფლებოთ ადებს ბეჭედს სხვის სახლს. არც ახლა იკადრა



ნებულის, რომ ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება გამართოს, ე. ი. რამე ნაირათ მორიგდეს და შორეულ ქვეყანაში ომი შეწყდეს. მაგრამ ვისთან დაიწყო მოლაპარაკება? ჩინეთის მთავრობა, როგორც ნათქვამი გვექნა, ევროპელებს ემსახურება, რაც იმას ამტკიცებს, რომ მას სრულყოფით არა სწავლია მორიგება. რა საშუალებას და ღონისძიებას არა ხმარობენ ევროპის და ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლები რაიმე კავშირი იქნებინა ჩინეთის მთავრობასთან, რომ მორიგების შესახებ მოლაპარაკება დაიწყო, მაგრამ ვერას ვახდენ: დღემდე ჩინეთის მთავრობას და ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა შორის უფაგულგვარი კავშირი შეწყვეტილია. რათ არა სურს ჩინეთის მთავრობას ევროპის სახელმწიფოების მოლაპარაკების გამართვა? განა მას არა სურს მშვიდობიანობის ჩამოკლება? რასაკვირველია სურს, მაგრამ იცის, თუ რას მოთხოვნიან მას ევროპის სახელმწიფოები, იცის, რომ ისინი ამ მშვიდობიანობას იაფათ არ მიჰყიდიან მას, და სწორეთ ეს არის ნამდვილი მიზეზი იმის, რომ ჩინეთის მთავრობა განსეუ დგას და მას არავითარი სურვილი არა აქვს დღევანდელ პირობებში ევროპის სახელმწიფოებთან მორიგების შესახებ თათბირი დაიწყო. ზოგიერთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა უკანასკნელი ზომა იხმარეს, რომ ჩინეთის მთავრობა გამოეწვიათ მოსალაპარაკებლათ. იმათ გადაწყვეტიეს: ჩინეთის მთავრობამ რომ მოლაპარაკება დაიწყო, ამისათვის სჭირთა, რომ ეს მთავრობა ისევე ზეგინში დაბრუნდეს; ამიტომ მოკავშირეთა ჯარები გაუყვანილ უნდა იქმნას ზეგინიდან, სანამ საიმპერატორო მთავრობა ისევე ზეგინში დაბრუნდებოდეს. ამ გადაწყვეტილებასე უარი თქვეს გერმანიის და იტალიის წარმომადგენლებმა: ჩვენ ჯარებს ზეგინიდან არ გაუიყვანთ. ამნაირათ იჩინა თავი ჯერ-ჯერობით უთანხმოებამ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის. ჩინეთის მთავრობასაც და მის ერთათ ერთ წარმომადგენელს ლინუ-ჩანგს, რომელსაც ევროპელებთან დამოკიდებულება აქვს და რომელიც გაბრძნილია ევროპის ცბიერი დიპლომატიის ობიექტით, სწორეთ ესა სწავლიათ. და მართალიც არის: თუ მოკავშირე სახელმწიფოთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა, და რომ ჩამოვარდება ამაში დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მაშინ იმათ უნდა აიკიდონ ბარგი და ჩინეთიდან გამოვიდნენ, თუ კიდევ უფრო დიდი უბედურების ჩამოვარდება არა სურთ. ადვილი შესაძლებელია, რომ გერმანიას და იტალიას სხვა სახელმწიფოებზე მიემხრენ, მაგ., ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები და შესაძლოა იანონიაც. ამ შეთხვევაში მხოლოდ რუსეთი და საფრანგეთი დარჩება მეორე მხარეზე, მაშასადამე ჩვენ ჯერ კიდევ ზირველ მოქმედებას ვუყურებთ ამ საშიშარი ტრაგედიისას.


სამხრეთ აფრიკაში ბრძოლა ამ ერთი კვირის განმავლობაში კიდევ უფრო გამწვავებული იყო და ამასთან

ნავე გამარჯვებული ბურები იყვნენ, რომლებმაც კამდენიმე ადგილას რკინის გზის ღონისძიები დააქციეს, დასწავეს მატარებელი, კლიბრივერში კასთავისუფლეს ტყვეები და მათ იარაღი დაურიგეს და სხ. ამ ყმათ ბურები თავის ჯარებს ნიანგის მთებში უყრიან თავს და დიდი შეტაკებისთვის ემზადებიან.

უკანასკნელი ტელეგრამები ომის შესახებ.

